

ეკონომიკის “ზომბირება” – უდიდესი საფრთხე

გაზეთი “რეზონანსი” – 31 ოქტომბერი, № 294, 2009

წარმოების სწრაფი განვითარების პარალელურად, მსოფლიოში გლობალიზაციის ხარისხი იზრდება, რაც ეკონომიკურ პროცესების პროგნოზირებას საგრძნობლად ართულებს. ეკონომიკის ვარდნა პოლიტიკოსების იმიჯსს ემუქრება, ამიტომაც მათ ასეთი პრობლემებისაგან თავის არიდების ხერხს – ეკონომიკის “ზომბირებას” მიაგნეს. გლობალური და ქართული ეკონომიკის პრობლემების შესახებ “რეზონანსი” ეკონომიკის ექსპერტს ლადო პაპავას ესაუბრა.

ლადო პაპავა: – “მსოფლიოში ბოლოდროინდელი პრობლემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი პროდუქციის ჭარბი წარმოება გახდა. განვითარებულ, ეკონომიკურად სტაბილურ ქვეყნებში – ევროპასა და ამერიკაში მოსახლეობის უმრავლესობა უძრავ ან სხვა სახის ძვირადღირებულ ქონებას, იმ მოლოდინით იძენს, რომ თანხას მომავალში დაფარავს. ამ მიზეზის გამო, მსესხებელთა რაოდენობა ასეთ ქვეყნებში საკმაოდ დიდია და მუდმივად იზრდება, როგორც პროდუქციის რაოდენობა. თუ მომავალი შემოსავალი შეწყდება, სესხის დაფარვა შეუძლებელი ხდება. ეკონომიკის ასეთმა პოლიტიკამ შემოსავალსა და მიწოდებას შორის წონასწორობა დაარღვია.”

“რ”: ანტიგლობალისტები ეკონომიკის გლობალიზაციის წინააღმდეგ გამოდიან, ისინი ამბობენ, რომ ეს პროცესი მოსახლეობის მცირეშემოსავლიანი ფენებისათვის უმძიმესი ტვირთია. მსოფლიო კრიზისში გლობალიზაციის წვლილიც ხომ არაა?

ლ.პ: გლობალიზაცია ეს ისეთივე ობიექტური პროცესია, როგორც მისწისძვრა, ან წყალდიდობა. გლობალიზაციის დასარეგულირებლად მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციაა შექმნილი, მათ შორის მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. ეს ორგანიზაციები იმიათვის არსებობენ, რომ ეს პროცესი გარკვეულ ჩარჩოებში მოექცეს და დამანგრეველი არ გახდეს.

რა არის გლობალიზაცია? ესაა ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლა, ერთიანი ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბება, როდესაც ვაჭრობა სცდება საზღვრებს მათ შორის არალეგალური ვაჭრობაც, როდესაც კულტურული ფასეულობები ერთ ქვეყნის საზღვრებით აღარ იფარგლება. თუმცა არსებობს კონსერვატიული ბარიერებიც. ზოგჯერ გასაკვირია, იქ სადაც მართლა გამართლებულია გლობალიზაცია, არ ხდება. მაგალითად: მეტრული სისტემის, ადამინის სიმაღლის, სიგრძის, წონის ერთეულების ერთიანი პარამეტრების მიღება; ტემპერატურა ევროპულ ქვეყნებშიც კი სხვადასხვაგვარად ითვლება.

სწორედ გლობალიზაციამ შეუწყო ხელი ფინანსური კრიზისის მთელ მსოფლიოზე ფავრცელებას.

“რ”: საქართველოში ეკონომიკური კრიზისის მიზეზებზე რას იტყვით?

ლ.პ: საქართველოს ეკონომიკური კრიზისს 3 მიზეზი აქვს: პირველი – თანაფარდობის მოსპობა ფინანსურ სექტორსა და ეკონომიკის რეალურ სექტორს შორის. დასავლეთში თუ ჭარბი წარმოების კრიზისი იყო, ჩვენში სულ სხვა რამ მოხდა. საქართველოში შემოდიოდა დიდძალი უცხოური ვალუტა – ფინანსური რესურსი. ამ რესურსებით წარმოების განვითარება უნდა მომხდარიყო. სინამდვილეში კი, ამ თანხით მეწარმე ყიდულობდა მიწებს, წარმოებებს, მათ შორის მოქმედ წარმოებებს და არ ანვითარებდა მას.

საქართველოში ზედმეტი ფულის არსებობამ ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ეს პროცესი დაახქარა ქართული ბანკების პოლიტიკამაც. ისინი იღებდნენ იაფ კრედიტებს, რითაც აფინანსებდნენ არა ახალი საწარმოებების გახსნასა და განვითარებას, არამედ აკრედიტებდნენ სამომხმარებლო საქონლის შექმნას – იმპორტს.

ქართულ ეკონომიკას დამატებითი პრობლემები სამშენებლო ბიზნესმაც შეუქმნა, რომლის დიდი ნაწილი “ფინანსური პირამიდს” პრონციპზეა აგებული. ასეთ კომპანიები ახალი ვალდებულების შესრულებას ისე იწყებენ, რომ ძველი ვალდებულების შესრულებისათვის ფული უკვე დახარჯული აქვთ.

“რ”: ბოლო წლებმა გვიჩვენა, რომ ქართველებს წარმოებას ვაჭრობა ურჩევნიათ...

ლ.პ: პოსტსაბჭოური ქვეყნების მოსახლეობის მენტალიტეტით ცხოვრება მართლაც მძიმე ტვირთია. ეს სირთულე ბალტიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა შედარებით ადვილად გადაიტანეს. თუ ვისაუბრებთ იმაზე რა უყვართ ქართველებს, მათ ალბათ ყველაფერს დროსტარება და ქეიფი

ურჩევნიათ და არა ვაჭრობა. ადამიანი ყოველთვის აკეთებს იმას, რისი უნარიც აქვს და რასაც მას შექმნილი ვითარება უბიძგებს.

“რ”: კრიზისისგან თავის დაღწევის მიზნით გადადგმულ ხელისუფლების ნაბიჯებს როგორ აფასებთ?

ლ.პ.: ახლა სამშენებლო კომპანიებისა და საბანკო სექტორის ზომბირება მიმდინარეობს. კერძოდ, დაიწყო პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია ქალაქ თბილისის ძველი უბნების რეაბილიტაცია-აღდგენასთან. თუ სამშენებლო კომპანიები ადგილობრივ მოსახლეობასთან შეთანხმებას მიაღწევენ, მათ ბანკი ქალაქის მერიის გარანტიით კრედიტს მისცემს. ამ კომპანიების რიცხვში კი “ფინანსური პირამიდები”, უთუოდ მოხვდებიან. ეს არის ზომბირების კლასიკური მაგალითი.

“რ”: გამოსავალს რაში ხედავთ?

ლ.პ.: გასაკოტრებელი უნდა გააკოტრდეს, თორემ ვიქნებით მუდმივი კრიზისის მოლოდინში. ფსევდობიზნესმენების დაფინანსება ქვეყანას არაფერში წაადგება. ისინი ხალხიდან აღებული ფულით ძვირადღირებულ ჯიპებს ყიდულობენ, ფეშენებელურ ოფისებს იშენებენ და საკუთარი კეთილდღეობისათვის ფლამგავენ. ქვეყანაში ეკონომიკის გონივრული გაძღოლა არ მიმდინარეობს. ერთად-ერთი რისი მოწმენიც ვართ ესაა პიარი. პიარით საქმე არ გამოდის. სახელმწიფომ გააკოტრების შესახებ კანონი უნდა ამოქმედოს, თუმცა ის ყველა ქვეყანაში არსებობს და სრულყოფილად არასად გამოიყენება.

“რ”: ამ კანონის ამოქმედება ამდენად არარეალურია?

ლ.პ.: არცერთ პოლიტიკოსს მისი პრაქტიკული განხორციელება არ აწყობს. საწარმოების გააკოტრებას, ხალხის უმუშევრად დარჩნა მოსდევს. ხელისუფლებაში მყოფი პირები კი ამომრჩეველთა ხმებს დაკარგავენ. აქ ორი პრობლემაა, ეკონომიკური გამართლება და პოლიტიკური მიზანშეწონილობა. ეკონომიკური გამართლებულია ის, როდესაც გასაკოტრებელი კოტრდება, მაგრამ ეს ნაბიჯი პოლიტიკურად მიზანშეწონილი შეიძლება არ იყოს.

“რ”: კრიზისს სხვა ქვეყნები თავს როგორ აღწევენ?

ლ.პ.: ყველა ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს ეკონომიკური კრიზისი “ჩრდილში” მოაქციოს. კრიზისს მთელი მსოფლიო ეკონომიკის ზომბირებით “ებრძვის”.

“რ”: მსოფლიოს მასშტაბით ეკონომიკის ზომბირების გამო უახლოეს წლებში მსოფლიო კრიზისი ხომ არ განმეორდება?

ლ.პ: კი არ განმეორდება, არამედ განახლება!

“რ”: უახლოესი 5 წელიწადი როგორ წარმოგიდგენიათ?

ლ.პ: ესაა ევროპისგან დაშორება. ომის გარეშეც რუსეთისაკენ მივდიოდით და ახლანდელი მდგომარეობა, ჩემი აზრით, სხვა არჩევანს აღარ გვიტოვებს. გასარკვევია თუ სადამდე გავრძელდება, ამჟამინდელი მმართველი გუნდის ყოფნა ქვეყნის სათავეებთან. ამ ხელისუფლებამ იმდენი გააკეთა, რომ შექმნილი მდგომარეობით ყველაზე დაზარალებული საქართველოს მოსახლეობაა.

თამარ ფეიქრიშვილი